

SATZUNG

1. ზოგადი დებულებები

§ 1. სახელწოდება

- ქართულად: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება“ (შემდგომში გაერთიანება).
- გერმანულად: Gemeinnützige (nichtkommerzielle) juristische Person „Deutsche Wirtschaftsvereinigung“ (Vereinigung).

§ 2. სამართლებრივი სტატუსი

1. გაერთიანება წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც ახორციელებს საქმიანობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და წინამდებარე წესდების შესაბამისად.
2. გაერთიანება არის წევრობაზე დაფუძნებული არაკომერციული იურიდიული პირი.

§ 3. გაერთიანების იურიდიული მისამართი

ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №24/მ. ლალიძის ქ. №1, საკადასტრო კოდი 01.15.05.010.008.01.500

ელექტრონული მისამართი:
info@georgien.ahk.de

§ 4. ხანგრძლივობა

გაერთიანება დაფუძნებულია უვადოდ.

2. გაერთიანების მიზანი და საქმიანობა

§ 5. გაერთიანების მიზნები

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მიზანია ხელი შეუწყოს გერმანიასა და საქართველოს შორის სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების დამყარებას და დაიცვას გერმანული ეკონომიკის ინტერესები საქართველოში. აღნიშნული მათ შორის მოიცავს, გერმანული კომპანიების მხარდაჭერა საქართველოს ბაზარზე შემოსვლაში, მათი საბაზრო შესაძლებლობების გამოვლენაში და კავშირების

1. Allgemeine Bestimmungen

§ 1. Der Name der Vereinigung

- auf Georgisch: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება“.
- auf Deutsch: Gemeinnützige (nichtkommerzielle) juristische Person „Deutsche Wirtschaftsvereinigung“ (Vereinigung).

§ 2. Rechtlicher Status

1. Die Vereinigung ist eine juristische Person des privaten Rechtes, die entsprechend dem georgischen Bürgerkodex und dieser Satzung tätig ist.
2. Die Vereinigung ist eine auf Mitgliedschaft basierende nicht kommerzielle juristische Person.

§ 3. Sitz der Vereinigung

0108 Tbilisi, Rustaweli Pr. 24/M. Lagidze Str. 1, Katastercode: 01.15.05.010.008.01.500

Elektronische Adresse:
info@georgien.ahk.de

§ 4. Dauer

Die Vereinigung wird unbefristet gegründet.

2. Zweck und Aufgaben der Vereinigung

§ 5. Zweck der Vereinigung

Die Deutsche Wirtschaftsvereinigung hat die Aufgabe, die Handels- und Wirtschaftsbeziehungen zwischen der Bundesrepublik Deutschland und, Georgien zu fördern, und die Interessen der deutschen Wirtschaft in Georgien zu vertreten. Dazu zählen insbesondere die Unterstützung deutscher Unternehmen beim Eintritt in den georgischen Markt und das Aufzeigen von Marktchancen, sowie die Kontaktherstellung zwischen

დამყარებაში.

§ 6. გაერთიანების საქმიანობა

1. დასახელებული მიზნების მისაღწევად გაერთიანება ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:
 - a. გერმანული კომპანიების საქართველოს ბაზარზე შემოსვლის და მათი საბაზრო შესაძლებლობების გამოვლენის მხარდაჭერა;
 - b. დახმარების გაწევა კონტაქტების დამყარებაში ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლებისათვის;
 - c. პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მხარდაჭერა, ასევე საგამოყენო საქმიანობის, გარემოს დაცვისა და ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა საქართველოში;
 - d. ინფორმაციისა და კონსულტაციის გაცემა, ასევე დასკვნების, საბაზრო კვლევებისა და ანგარიშების მომზადება;
 - e. გერმანულ, ქართულ და ასევე სხვა გერმანულენოვანი ქვეყნების (მაგ. ავსტრია, შვეიცარია) კომპანიებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება, მართვა და განვითარება;
 - f. ზემოთხსენებული ქვეყნების დაინტერესებულ ეკონომიკურ წრეებს შორის კონტაქტების დამყარება და განვითარება;
 - g. თანამონაწილეების ეკონომიკური ინტერესების წარმომადგენლობა გერმანულ და ქართულ სამთავრობო ორგანოებსა და სხვა დაწესებულებებს შორის;
 - h. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოგროვება და გავრცელება, პუბლიკაციების გამოცემა ეკონომიკური და სავაჭრო პოლიტიკური მდგომარეობის და განვითარების თაობაზე (წლიური ანგარიშები და სხვა პუბლიკაციები) ამ საკითხებთან დაკავშირებით გერმანიის საელჩოს ეკონომიკურ განყოფილებასთან მჭიდრო თანამშრომლობა;
 - i. ღონისძიებების ჩატარება როგორცაა მაგ. პრესკონფერენციები, საინფორმაციო

Wirtschaftsteilnehmern der zwei Länder.

§ 6. Aufgaben der Vereinigung

1. Zur Erreichung des genannten Zweckes obliegen der Vereinigung folgende Aufgaben:
 - a. Unterstützung der deutschen Unternehmen beim Eintritt in den georgischen Markt und Aufzeigen von Marktchancen;
 - b. Unterstützung der Wirtschaftsteilnehmer der zwei Länder bei der Kontaktherstellung;
 - c. Förderung der beruflichen Ausbildung und Weiterbildung, des Messewesens, des Umweltbereichs und des Tourismus in Georgien;
 - d. die Erteilung von Auskünften und Beratungen, sowie die Erstellung von Gutachten, Marktstudien und Berichten;
 - e. die Vermittlung, Pflege und Weiterentwicklung von Geschäftsverbindungen zwischen Unternehmen aus Deutschland und Georgien, sowie eventuell deutschsprachiger Drittländer (z.B. Schweiz, Österreich);
 - f. die Anbahnung und Pflege von Kontakten zwischen interessierten Wirtschaftskreisen der oben genannten Länder;
 - g. die Vertretung von wirtschaftlichen Interessen der Beteiligten an den Wirtschaftsbeziehungen zwischen deutschen und georgischen Regierungsstellen und anderen Institutionen;
 - h. die Sammlung und Weitergabe von Informationen über die Wirtschaftssituation in Georgien über Stand und Entwicklung von wirtschafts- und handelspolitischen Fragen durch Publikationen (z.B. Rundschreiben, Jahresberichte, Merkblätter sowie sonstige Veröffentlichungen); Hier ist eine enge Zusammenarbeit mit der Wirtschaftsabteilung der deutschen Botschaft notwendig;
 - i. die Durchführung von Veranstaltungen

სემინარები, გამოფენები და დისკუსიები, ასევე მონაწილეობა ისეთ ღონისძიებებში, რომლებიც წესდების მიზნებს არ ეწინააღმდეგება.

2. გაერთიანება არ განახორციელებს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად განკუთვნილია მხოლოდ პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობებისთვის. გაერთიანება ასევე არ განახორციელებს რაიმე სახის მსოფლმხედველობით საქმიანობებს.
3. გაერთიანება ახორციელებს თავის საქმიანობას გერმანიის საელჩოსთან მჭიდრო და ნდობით აღჭურვილი თანამშრომლობით, ასევე ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობისათვის მნიშვნელოვან დაწესებულებებთან. განსაკუთრებით სასურველია მჭიდრო თანამშრომლობა GIZ-სა (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) და KfW -სთან (განვითარების ბანკი). გაერთიანება განახორციელებს ინფორმაციის გაცვლას DIHK -სა (გერმანიის სავაჭრო და სამრეწველო პალატები) და GTAI-სთან (Germany Trade and Invest).

3. წევრობა

§ 7. დამფუძნებელი და სხვა სრული წევრები

1. გაერთიანებას ჰყავს დამფუძნებელი და სხვა სრული წევრები.
2. დამფუძნებელი წევრები არიან ყველა პირები, რომლებმაც (წესდება, დაფუძნების ოქმი) გაერთიანების დაფუძნებას მოაწერეს ხელი. სხვა დანარჩენი სრული წევრები არიან პირები, რომლებიც გაერთიანების დაფუძნების შემდეგ გახდნენ წევრები ან ამ წესდების შესატყვისად გახდებიან წევრები.
3. წევრები შესაძლებელია იყვნენ კერძო და იურიდიული პირები და ასევე გაერთიანებები, იურიდიული მისამართით გერმანიაში, საქართველოში და ერთეულ შემთხვევებში გერმანულენოვან ქვეყნებში, რომელთაც აქვთ დაინტერესება გაერთიანების ქართულ-გერმანულ ეკონომიკური ურთიერთობის საქმიანობაში.

wie z.B. Pressekonferenzen, Informationsseminaren, Symposien und Diskussionen, sowie die Teilnahme an derartigen Veranstaltungen, soweit sie mit dem Satzungszweck vereinbar sind.

2. Die Deutsche Wirtschaftsvereinigung enthält sich jeder Tätigkeit, die laut besonderen Rechtsvorschriften den politischen Parteien und Bewegungen vorbehalten ist, sowie jeder weltanschaulichen Betätigung.
3. Die Deutsche Wirtschaftsvereinigung übt ihre Tätigkeit in enger und vertrauensvoller Zusammenarbeit mit der deutschen Botschaft sowie den für die Zusammenarbeit bedeutsamen Institutionen und Behörden aus. Insbesondere ist eine enge Zusammenarbeit mit der GIZ (Gesellschaft für internationale Zusammenarbeit) und der KfW (Kreditanstalt für Wiederaufbau) wünschenswert. Die Deutsche Wirtschaftsvereinigung pflegt einen Informationsaustausch mit dem DIHK (Deutscher Industrie- und Handelskammertag) und GTAI (Germany Trade and Invest).

3. Mitgliedschaft

§7. Gründungsmitglieder und weitere ordentliche Mitglieder

1. Die Vereinigung hat Gründungsmitglieder und weitere ordentliche Mitglieder.
2. Die Gründungsmitglieder sind die Personen, die das Dokument (Satzung, Gründungsprotokoll) zur Vereinigungsgründung unterschrieben haben. Die weiteren ordentlichen Mitglieder sind alle Personen, die nach der Vereinigungsgründung Mitglieder geworden sind oder entsprechend dieser Satzung Mitglieder werden.
3. Mitglieder können natürliche und juristische Personen sowie Vereinigungen mit Sitz in der Bundesrepublik Deutschland, in Georgien oder in Einzelfällen auch in Drittländern sein, die Interesse an den deutsch-georgischen Wirtschaftsbeziehungen haben.

4. გაერთიანების თანამშრომლებს არ შეუძლიათ გახდნენ წევრები.

§ 8. რიგგარეშე და საპატიო წევრები.

1. რიგგარეშე წევრები
 - a. გაერთიანებას შეუძლია ჰყავდეს რიგგარეშე წევრები;
 - b. რიგგარეშე წევრები შესაძლებელია იყვნენ კერძო ან იურიდიული პირები და გაერთიანებები, რომლებიც მხარს უჭერენ გაერთიანების მიზნებს;
 - c. რიგგარეშე წევრები შეზღუდული არიან ხმის უფლებით, ისინი საერთო კრებაზე შეზღუდული არიან ხმის უფლებით შემდეგში:
 - მმართველი წევრების არჩევა, დათხოვნა, თანამდებობიდან გათავისუფლება;
 - განცხადების შეტანა გაერთიანების ლიკვიდაციის შესახებ;
 - გადაწყვეტილების მიღება წესდების ცვლილების შესახებ ან წესდებაში ახალი რედაქციის დამტკიცება.
2. საპატიო წევრები
 - a. კერძო პირებს ან გაერთიანებებს, რომლებიც განსაკუთრებულად გამოირჩეოდნენ გერმანულ-ქართული ეკონომიკური გაერთიანების ურთიერთობებში თანადგომით, შესაძლებელია საერთო კრების მმართველობის მიერ მიენიჭოთ დამსწრე წევრების 2/3 უმრავლესობით, საპატიო წევრის სტატუსი;
 - b. საპატიო წევრები თავისუფლდებიან საწევრო გადასახადისაგან;
 - c. საპატიო წევრებს არა აქვთ ხმის მიცემის უფლება.

4. Mitarbeiter der Vereinigung können keine Mitglieder werden.

§8. Außerordentliche Mitglieder und Ehrenmitglieder

1. Außerordentliche Mitglieder
 - a. Die Vereinigung kann außerordentliche Mitglieder haben;
 - b. Die außerordentlichen Mitglieder können natürliche und juristische Personen oder Vereinigungen werden, die nachweislich die Zwecke der Vereinigung unterstützen;
 - c. Die außerordentlichen Mitglieder haben ein eingeschränktes Stimmrecht, sie sind nicht stimmberechtigt bei folgenden Aufgaben der Mitgliederversammlung:
 - Wahl, Entlastung und Abberufung der Mitglieder des Vorstandes;
 - Entscheidung über eingereichte Anträge auf Auflösung der Vereinigung;
 - Beschlussfassung über Satzungsänderungen oder Bestätigung der neuen Fassung der Satzung.
2. Ehrenmitglieder
 - a. Persönlichkeiten oder Vereinigungen, die sich um die Förderung der deutsch-georgischen Wirtschaftsbeziehungen sowie die sonstigen Zwecke der Deutschen Wirtschaftsvereinigung Georgien besonders verdient gemacht haben, kann auf Vorschlag des Vorstandes von der Mitgliederversammlung mit einer Mehrheit von zwei Dritteln der anwesenden Mitglieder die Ehrenmitgliedschaft verliehen werden;
 - b. Ehrenmitglieder sind von der Beitragspflicht befreit;
 - c. Ehrenmitglieder sind nicht stimmberechtigt.

§ 9. გაწევრიანება

1. გაწევრიანება იწყება გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.
2. არ არსებობს უფლება გაწევრიანების თაობაზე.
3. გაწევრიანება ხდება წერილობითი განცხადების საფუძველზე. განცხადების შევსებისას განმცხადებელი გაწევრიანების შემთხვევაში ეთანხმება გაერთიანების წესდებას.
4. გაწევრიანებაზე გადაწყვეტილებას იღებს მმართველი საბჭო. განმცხადებელი შედეგს შეიტყობს წერილობითი სახით. გადაწყვეტილების განმარტება სავალდებულო არ არის.
5. წევრობის მესამე პირებისთვის გადაცემა დაუშვებელია. წევრობა არ გადადის მემკვიდრეობით.

§ 10. წევრობის დასასრული

1. წევრობა სრულდება წევრის სიკვდილით, გაერთიანებიდან გასვლით ან გარიცხვით.
2. წევრობა სრულდება იურიდიული პირის ან პირთა გაერთიანების ლიკვიდაციით.

§ 11. წევრობის დასრულება

1. წევრობის დამთავრება შესაძლებელია მხოლოდ სამეურნეო წლის ბოლოს.
2. წევრობის დამთავრების შესახებ წევრმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საბჭოს თავმჯდომარეს.
3. გაერთიანებიდან გასულ წევრს არ აქვს გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების ქონებიდან კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.
4. გაერთიანებიდან გასული წევრი ვალდებულია შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები, კერძოდ გადაიხადოს მიმდინარე წლიური საწევრო.

§ 12. გარიცხვა

1. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას წევრი შეიძლება გაირიცხოს გაერთიანებიდან. მნიშვნელოვანი მიზეზებია გაერთიანების ინტერესებისა და მიზნების უხეში დარღვევა,

§ 9. Beginn der Mitgliedschaft

1. Die Mitgliedschaft beginnt mit dem Zugang des Aufnahmebeschlusses.
2. Ein Recht auf Aufnahme besteht nicht.
3. Die Aufnahme erfolgt aufgrund eines schriftlichen Aufnahmeantrages. Mit dem Antrag erkennt der Bewerber für den Fall seiner Aufnahme die Satzung der Vereinigung an.
4. Über die Aufnahme entscheidet der Vorstand. Das Ergebnis ist dem Antragsteller schriftlich mitzuteilen. Eine Verpflichtung zur Begründung besteht nicht.
5. Die Mitgliedschaft an eine andere Person zu übertragen oder zu vererben ist nicht gestattet.

§ 10. Ende der Mitgliedschaft

1. Die Mitgliedschaft erlischt durch Tod, Austritt oder Ausschluss eines Mitgliedes.
2. Bei einer juristischen Person oder Personenvereinigung endet die Mitgliedschaft auch durch deren Auflösung.

§ 11. Beendigung der Mitgliedschaft

1. Die Beendigung der Mitgliedschaft ist nur zum Ende eines Geschäftsjahres möglich.
2. Das Mitglied soll den Vorstandsvorsitzenden über die Beendigung der Mitgliedschaft schriftlich benachrichtigen.
3. Das ausgetretene Mitglied hat kein Recht auf Kompensation aus dem Vermögen der Deutschen Wirtschaftsvereinigung.
4. Das ausgetretene Mitglied ist verpflichtet die restlichen Forderungen zu erfüllen, insbesondere die laufenden Jahresbeiträge zu zahlen.

§ 12. Ausschluss

1. Das Mitglied kann aus der Vereinigung ausgeschlossen werden, wenn ein wichtiger Grund vorliegt. Als wichtiger Grund sind insbesondere ein schwerwiegender Verstoß gegen die Interessen

წესდების დებულებათა ბრალეული დარღვევა და არაკეთილსინდისიერი ქმედება.

2. მმართველობას შეუძლია წევრი უბრალო უმრავლესობით გარიცხოს, თუ ამისთვის არსებობს პირველ (1) პუნქტში გათვალისწინებული მნიშვნელოვანი საფუძველი.

4. წევრთა საერთო კრება

§ 13. წევრთა საერთო კრების სტატუსი

წევრთა საერთო კრება წარმოადგენს გაერთიანების უმაღლეს ორგანოს.

§ 14. გეგმიური საერთო კრება

1. გეგმიური საერთო კრება ტარდება წელიწადში მინიმუმ ერთხელ, სამეურნეო წლის დასასრულიდან არაუგვიანეს პირველ კვარტალში.
2. გეგმიური საერთო კრება ასრულებს შემდეგ დავალებებს, კერძოდ:
 - a. გაერთიანების მმართველი საბჭოს მიერ მომზადებული ანგარიშების მოსმენა (მათ შორის ბიუჯეტი);
 - b. მმართველი საბჭოს წევრთა არჩევა, საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის დადებითად შეფასება და გაწვევა;
 - c. მრჩეველთა საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საპატიო თავმჯდომარის არჩევა;
 - d. გადაწყვეტილების მიღება განცხადების თაობაზე, გაწევრიანების განცხადების გამოკლებით;
 - e. წესდებაში ცვლილებების შეტანა ან ახალი ცვლილებების დამტკიცება.
3. წლიური საერთო კრების დღის წესრიგი უნდა მოიცავდეს მათ შორის შემდეგ საკითხებს:
 - a. მმართველი საბჭოს მოხსენება (ბიუჯეტის პროექტის ჩათვლით);
 - b. გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების საფინანსო-საბუღალტრო ანგარიშების რევიზორის მოხსენება გასული წლის ბიუჯეტის შესახებ;

und den Zweck der Vereinigung, die schuldhafte Verletzung einer der Satzungsbestimmungen sowie ein unehrenhaftes Verhalten anzusehen.

2. Der Vorstand kann ein Mitglied mit einfacher Mehrheit ausschließen, sofern ein wichtiger Grund gem. Absatz 1 vorliegt.

4. Mitgliederversammlung

§ 13. Status der Mitgliederversammlung

Die Mitgliederversammlung ist das oberste Organ der Vereinigung.

§ 14. Ordentliche Mitgliederversammlung

1. Die ordentliche Mitgliederversammlung findet mindestens einmal jährlich statt, spätestens im ersten Quartal seit dem Ende eines Geschäftsjahres.
2. Der ordentlichen Mitgliederversammlung obliegen insbesondere folgende Aufgaben:
 - a. Entgegennahme des vom Vorstand der Vereinigung vorbereiteten Berichtes (einschließlich Haushaltsplan);
 - b. Wahl, Entlastung und Abberufung der Mitglieder des Vorstandes;
 - c. Wahl der Mitglieder des Beirates (sofern ein Beirat eingesetzt wird) und des Ehrenvorsitzenden;
 - d. Entscheidung über eingereichte Anträge mit Ausnahme von Aufnahmeanträgen;
 - e. Beschlussfassung über Satzungsänderungen oder Bestätigung der neuen Fassung der Satzung.
3. Die Tagesordnung der Jahreshauptversammlung hat insbesondere folgende Punkte zu umfassen:
 - a. Bericht des Vorstandes (einschließlich Haushaltsplan);
 - b. Entgegennahme des Berichtes des Rechnungsprüfers über die Rechnungslegung der Deutschen Wirtschaftsvereinigung im vorangegangenen Haushaltsjahr;

- c. მმართველი საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის მოწონება;
 - d. არჩევნები, წესდების გათვალისწინებულ შემთხვევებში;
 - e. მმართველი საბჭოს მიერ წარმოდგენილი მიმდინარე სამეურნეო წლის ბიუჯეტის პროექტის მოწონება;
 - f. მიმდინარე წლისათვის გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების საფინანსო-საბუღალტრო ანგარიშის რევიზორის არჩევა;
 - g. წარმოდგენილი განაცხადების განხილვა.
4. წევრთა განაცხადები უნდა მიეწოდოს მმართველი საბჭოს წერილობითი ფორმით, საერთო კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე. მიწოდების დრო განისაზღვრება მმართველი საბჭოს მიერ განაცხადის ფაქტობრივად მიღების მიხედვით. დამატებით შემოსული განაცხადები წევრებს გადაეცემათ წერილობითი ფორმით სხდომის დღეს და სხდომაზე განხილულ იქნება, როდესაც წევრთა საერთო კრება ხმის უფლების მქონე წევრების უმრავლესობით დამატებითი განაცხადის განხილვას მხარს დაუჭერს.

§ 15. რიგგარეშე საერთო კრება

1. მმართველ საბჭოს შეუძლია მოიწვიოს რიგგარეშე საერთო კრება, თუ ეს საჭიროა გაერთიანების ინტერესებიდან გამომდინარე ან/და თუ სრული წევრების 1/5 წერილობითი დასაბუთებით განაცხადებს მმართველ საბჭოსთან რიგგარეშე საერთო კრების მოწვევას.
2. რიგგარეშე საერთო კრება უნდა ჩატარდეს განცხადების შეტანიდან ოთხ კვირაში.
3. რიგგარეშე საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება განსაკუთრებით გაერთიანების ლიკვიდაციის და შემოსულ განაცხადებთან დაკავშირებით.

- c. Entlastung des Vorstandes;
 - d. Wahlen, sofern satzungsgemäß erforderlich;
 - e. Genehmigung des vom Vorstand vorzulegenden Haushaltsvorschlags für das laufende Geschäftsjahr;
 - f. Ernennung eines Rechnungsprüfers für das laufende Haushaltsjahr;
 - g. Beschlussfassung über vorliegende Anträge.
4. Anträge der Mitglieder sind spätestens eine Woche vor der Mitgliederversammlung beim Vorstand schriftlich einzureichen. Entscheidend ist der Zeitpunkt des Eingangs. Nachträglich eingegangene Anträge werden den Mitgliedern am Sitzungstage in schriftlicher Form ausgehändigt und werden in der Sitzung behandelt, wenn die Mitgliederversammlung mit Mehrheit der erschienenen stimmberechtigten Mitglieder der Behandlung zustimmt.

§ 15. Außerordentliche Mitgliederversammlung

1. Außerordentliche Mitgliederversammlungen können durch den Vorstand einberufen werden, wenn dies das Interesse der Wirtschaftsvereinigung erfordert, und/oder wenn mindestens 1/5 der ordentlichen Mitglieder unter Angabe der Gründe die Einberufung einer Mitgliederversammlung beim Vorstand schriftlich beantragen.
2. Die außerordentliche Mitgliederversammlung muss nach Antragstellung innerhalb von vier Wochen stattfinden.
3. Einer außerordentlichen Mitgliederversammlung obliegt insbesondere die Entscheidung über die Auflösung der Vereinigung und die Entscheidung über eingereichte Anträge.

§ 16. გვერთო საერთო კრების მოწვევა და ჩატარება

1. წევრთა საერთო კრებებს იწვევს მმართველი საბჭო.
2. მოწვევა ხორციელდება წერილობით ან ელექტრონული ფოსტის გზით, ის უნდა შეიცავდეს დღის წესრიგს და უნდა გაიგზავნოს სხდომამდე არაუგვიანეს ორი კვირით ადრე.
3. ხმის უფლების მქონე წევრებს შეუძლიათ წინადადებები შემოიტანონ დღის წესრიგთან დაკავშირებით. წინადადებები საბჭოს უნდა მიეწოდოს წერილობით კრების ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე.
4. საერთო კრება გადაწყვეტილება უნარიანია თუ წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე წევრთა არა უმცირეს 1/5. თუ კრება არ იქნება გადაწყვეტილება უნარიანი, იგი განმეორებით უნდა ჩატარდეს ერთ კვირაში, ან იმავე დღეს იგივე დღის წესრიგით. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება წევრთა და წარმომადგენელთა რაოდენობის მიუხედავად.
5. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე ხმის უფლების მქონე წევრების ან მათი წარმომადგენლების უბრალო უმრავლესობით. თანამდებობების დაკავებისას, რომელზეც რამდენიმე წევრი აცხადებს პრეტენზიას, არჩეულ იქნება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მოიპოვებს.
6. წევრთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს მმართველი საბჭოს თავმჯდომარე. დაუსწრებლობის შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს საბჭოს სხვა წევრს გადასცეს უფლებამოსილება.
7. კენჭისყრის დროს ყოველ უფლებამოსილ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება და შეუძლია მინდობილობის გაცემა და მიღება.
8. საერთო კრების მიმდინარეობის შესახებ, მათ შორის კენჭისყრის შედეგების თაობაზე, შედგენილ უნდა იქნას საერთო კრების ოქმი.
9. ოქმს ადგენს მმართველი საბჭოდან არჩეული წევრი. ოქმს ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე, კრების მდივანი და აღმასრულებელი დირექტორი.

§ 16. Einberufung und Durchführung der ordentlichen Mitgliederversammlung

1. Ordentliche Mitgliederversammlungen werden vom Vorstand einberufen.
2. Die Einladung erfolgt durch einfachen Brief oder E-Mail. Sie muss die Tagesordnung enthalten und mindestens zwei Wochen vor dem Sitzungstermin abgesandt werden.
3. Stimmberechtigte Mitglieder können Vorschläge zur Tagesordnung abgeben. Die Vorschläge müssen dem Vorstand mindestens eine Woche vor dem Sitzungstermin schriftlich zugestellt werden.
4. Die Mitgliederversammlung ist beschlussfähig, wenn mindestens 1/5 der stimmberechtigten Mitglieder anwesend oder vertreten sind. Ist eine Versammlung nicht beschlussfähig, muss sie wieder innerhalb von einer Woche oder am gleichen Tag mit der gleichen Tagesordnung stattfinden. Diese ist unabhängig von der Zahl der anwesenden und vertretenen stimmberechtigten Mitglieder beschlussfähig.
5. Beschlüsse werden mit einer einfachen Mehrheit der anwesenden und stimmberechtigten Mitglieder gefasst. Bei der Besetzung von Ämtern, um die sich mehrere Mitglieder bewerben, ist derjenige Kandidat gewählt, der die meisten Stimmen auf sich vereinigt.
6. Die Mitgliederversammlung wird vom Vorsitzenden des Vorstandes geleitet. Der Vorstandsvorsitzende kann im Falle seiner Abwesenheit die Versammlungsleitung an ein anderes Vorstandsmitglied delegieren.
7. Bei den Abstimmungen hat jedes berechnigte Mitglied ein Stimmrecht und kann außerdem Vollmachten erteilen und entgegennehmen.
8. Über den Verlauf der Mitgliederversammlung, insbesondere das Ergebnis von Abstimmungen, wird ein Protokoll erstellt.
9. Als Protokollführer wird ein Mitglied des Vorstandes gewählt. Das Protokoll wird vom Versammlungsleiter, dem Protokollführer und vom Leiter der Geschäftsführung unterzeichnet.

5. მმართველი საბჭო

§ 17. მმართველი საბჭოს სტრუქტურა

1. მმართველი საბჭო არის გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანო.
2. მმართველი საბჭო შედგება საბჭოს თავმჯდომარისგან, მისი მოადგილისგან, (მეორე თავმჯდომარე) და მინიმუმ ორი სხვა წევრისგან.
3. გერმანიის საელჩოს, რომელიც გაერთიანების წევრი არ არის, აქვს ადგილი მმართველ საბჭოში. გერმანიის საელჩო წარმომადგენელი კონსულტაციას უწევს მმართველ საბჭოს და არ აქვს ხმის უფლება.

§ 18. მმართველი საბჭოს არჩევა

1. მმართველი საბჭოს წევრებს ირჩევს საერთო კრება სამი წლის ვადით, ხმათა უბრალო უმრავლესობით.
2. მმართველი საბჭოს საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, არჩევნები ტარდება სათანადო პერიოდულობით, იმგვარად, რომ მმართველ საბჭოში საქმიანობას აგრძელებს არსებული შემადგენლობის სულ მცირე ერთი წევრი.
3. მმართველი საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნას ფიზიკური პირი, რომელიც არის გაერთიანების სრული წევრი, ან წარმოადგენს სრულ წევრს. ამასთან, თითოეულ სრულ წევრს უფლება აქვს მმართველ საბჭოში წარგზავნოს მხოლოდ ერთი წარმომადგენელი.
4. მმართველი საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.
5. უფლებამოსილების ვადის გასვლამდე მმართველი საბჭოს წევრის მიერ საბჭოს დატოვების შემთხვევაში, საერთო კრება თავისი რიგებიდან ირჩევს ახალ წევრს.

§ 19. მმართველი საბჭოს მოვალეობები

1. მმართველი საბჭო ხელს უწყობს გაერთიანებას თავისი საქმიანობის განხორციელებაში, ზედამხედველობს გაერთიანების მიზნების დაცვას, განუსაზღვრავს აღმასრულებელ

5. Vorstand

§ 17. Struktur des Vorstandes

1. Der Vorstand ist Führungsorgan der Vereinigung.
2. Der Vorstand besteht aus dem Vorsitzenden, seinem Stellvertreter (zweiter Vorsitzender) und mindestens zwei weiteren Mitgliedern.
3. Die Deutsche Botschaft, die kein Mitglied der Vereinigung ist, hat das Recht auf einen Sitz im Vorstand. Der Vertreter der Deutschen Botschaft berät den Vorstand und hat kein Stimmrecht.

§ 18. Wahl des Vorstandes

1. Die Vorstandsmitglieder werden von der Mitgliederversammlung mit einfacher Mehrheit für eine Amtszeit von drei Jahren gewählt.
2. Um die Kontinuität der Vorstandsarbeit zu gewährleisten, finden die Wahlen in angemessenen Zeitabständen statt, sodass die Vorstandsarbeit immer von mindestens einem bestehenden Vorstandsmitglied weitergeführt wird.
3. Als Vorstand können natürliche Personen gewählt werden, die Vollmitglied sind oder ein solches repräsentieren, wobei jedoch ein Vollmitglied jeweils nicht mehr als einen Vertreter in den Vorstand entsenden darf.
4. Der Vorstand wählt aus seiner Mitte den Vorsitzenden des Vorstandes und seinen Stellvertreter.
5. Scheidet ein Mitglied des Vorstandes vor Ablauf seiner Amtszeit aus, so wählt die Mitgliederversammlung aus ihren Reihen ein neues Mitglied.

§ 19. Aufgaben des Vorstandes

1. Der Vorstand fördert die Aufgaben der Vereinigung, achtet auf die Einhaltung des Vereinigungszweckes, beschließt die Richtlinien für die Leitung der Vereinigung und wahrt die

- დირექტორს გაერთიანების მართვის ძირითად მიმართულებებს და იცავს წევრების ინტერესებს.
2. მმართველი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც ამ წესდების ან კანონის საფუძველზე მის კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება, ასევე ყველა საკითხზე, რომელიც არ შედის სხვა ორგანოს კომპეტენციაში.
 3. მმართველი საბჭოს მოვალეობებში შედის განსაკუთრებით შემდეგი საკითხები:
 - a. მოხსენება საერთო კრებაზე;
 - b. გაერთიანების ეკონომიკური გეგმის შედგენა;
 - c. საწევრო გადასახადების თანხის დადგენის და გადახდის პირობები ერთ პროგრესულ თანხად ან ეტაპობრივად. მომსახურების ტარიფების წესების განსაზღვრა, დადგენა, და მომსახურების ტარიფების განსაზღვრა;
 - d. გადაწყვეტილება წევრების მიღება-გარიცხვის შესახებ;
 - e. საერთო კრებების მომზადება საერთო კრების გადაწყვეტილებების ჩათვლით;
 - f. გაერთიანების აღმასრულებელი დირექტორისა და სხვა საშტატო თანამშრომლების არჩევა, დაქირავება და დათხოვნა;
 - g. აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობის მეთვალყურეობა.

§ 20. მმართველი საბჭოს კრება და გადაწყვეტილება

1. მმართველი საბჭო უნდა შეიკრიბოს პერიოდულად წელიწადში ოთხჯერ.
2. მოსაწვევს მმართველი საბჭოს კრების შესახებ, წერილის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აგზავნის თავმჯდომარე ან აღმასრულებელი დირექტორი. იგი უნდა გაიგზავნოს კრების ჩატარებამდე ორი კვირით ადრე და უნდა მოიცავდეს დღის წესრიგს.
3. კრებას ხელმძღვანელობს მმართველი საბჭოს თავმჯდომარე. მისი არ ყოფნის შემთხვევაში მას შეუძლია თავისი მოვალეობა გადასცეს თავის მოადგილეს.
4. მმართველი საბჭოს ყველა წევრს აქვს ერთი ხმა.
5. მმართველი საბჭოს სხდომა უფლებამოსილია

- Interessen der Mitglieder.
2. Der Vorstand entscheidet über alle Fragen, die aufgrund dieser Satzung oder kraft Gesetzes in seiner Zuständigkeit liegen, sowie über alle Fragen, die nicht in der Zuständigkeit eines anderen Organs liegen.
 3. Dem Vorstand obliegen insbesondere folgende Aufgaben:
 - a. Berichterstattung an die Mitgliederversammlung;
 - b. Erstellung des Wirtschaftsplanes der Vereinigung;
 - c. Festsetzung der Höhe der Mitgliedsbeiträge und Zahlweise, in einer Summe oder stufenweise, sowie Festsetzung einer Gebührenordnung für Dienstleistungen und ihrer einzelnen Beträge;
 - d. Entscheidung über Aufnahme und Ausschluss von Mitgliedern;
 - e. Vorbereitung der Mitgliederversammlungen einschließlich der Beschlüsse für die Mitgliederversammlung;
 - f. Wahl, Verpflichtung und Entlassung des Geschäftsführers und weiterer hauptamtlicher Mitarbeiter;
 - g. Überwachung der Tätigkeit des Geschäftsführers.

§ 20. Sitzungen und Beschlüsse des Vorstandes

1. Vorstandssitzungen sollen viermal jährlich in regelmäßigen Abständen stattfinden.
2. Einladungen zur Vorstandssitzung werden durch den Vorsitzenden oder den Geschäftsführer versendet. Die Einladung erfolgt durch einfachen Brief oder E-Mail. Sie muss einen Vorschlag für die Tagesordnung enthalten und mindestens zwei Wochen vor dem Sitzungstermin abgesandt werden.
3. Die Sitzung wird vom Vorsitzenden des Vorstandes geleitet. Er kann im Falle seiner Abwesenheit die Leitung an seinen Stellvertreter delegieren.
4. Jedes Vorstandsmitglied hat eine Stimme.

თუ მას ესწრება მინიმუმ მმართველი საბჭოს ორი წევრი.

6. მმართველი საბჭოს სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაშია, თუ იგი მიღებული იქნება მმართველი საბჭოს დამსწრე წევრების უბრალო უმრავლესობით.
7. საბჭოს გადაწყვეტილებას ხელს აწერს თავმჯდომარე. იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარე არ ესწრება კრებას, ხელს აწერს თავმჯდომარის მოადგილე.

6. დირექტორი

§ 21. საქმის მართვის კომპეტენციები და მოვალეობები

1. მიმდინარე საქმიანობას ახორციელებს აღმასრულებელი დირექტორი.
2. აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობებია:
 - a. გაერთიანების ყოველდღიური საქმიანობის მართვა და ორგანიზება;
 - b. გაერთიანების მიზნების განხორციელება და დავალებები წინამდებარე წესდების §5 და 6 თანახმად;
 - c. მმართველი საბჭოს სხდომების მომზადება შინაარსობრივად;
 - d. გაერთიანების ქონების მართვა, შემოსავალ-გასაღების დოკუმენტირება, ასევე მმართველ საბჭოსათვის მოხსენების წარდგენა გაერთიანების ქონების შესახებ;
 - e. მმართველი საბჭოს განსახილველად წინადადებების წარდგენა შემდეგ საკითხებზე:
 - i. საწევრო გადასახადის ოდენობა, ასევე სატარიფო სქემა მიმდინარე გასაღების ვალდებულებების დასაფარად;
 - ii. მომსახურების ტარიფების ოდენობა;
 - iii. მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების დადება (უძრავი ქონების ხელშეკრულებები, საშტატო თანამშრომლების შრომითი

5. Beschlussfähigkeit ist bei Anwesenheit von mindestens zwei Vorstandsmitgliedern gegeben.
6. Der Beschluss ist dann gültig, wenn er von einer einfachen Mehrheit der anwesenden Vorstandsmitglieder getroffen wird.
7. Der Vorstandsbeschluss wird durch den Vorsitzenden unterschrieben. Im Falle seiner Abwesenheit wird der Beschluss durch den stellvertretenden Vorsitzenden unterschrieben.

6. Geschäftsführer

§ 21. Zuständigkeit und Aufgaben der Geschäftsführung

1. Für die laufenden Geschäfte ist der Geschäftsführer zuständig.
2. Die Aufgaben des Geschäftsführers sind:
 - a. Führen der täglichen Geschäfte und Organisation der Aktivitäten der Vereinigung;
 - b. Umsetzung der Vereinigungszwecke und Aufgaben gem. den §§ 5 und 6 dieser Satzung;
 - c. Inhaltliche Vorbereitung der Vorstandssitzungen;
 - d. Verwaltung; des Vereinigungsvermögens, Nachweis der Ein- und Ausgaben sowie Berichterstattung über das Vereinigungsvermögen an den Vorstand;
 - e. Vorschlagsrecht an den Vorstand über:
 - i. die Höhe der Mitgliederbeiträge bzw. Gebührenordnung zur Deckung der laufenden Ausgaben sowie;
 - ii. die Höhe der Gebühren für Dienstleistungen;
 - iii. den Abschluss von maßgeblichen Verträgen durch den Vorstand (Immobilienmietverträge, Arbeitsverträge über hauptamtliche Mitarbeiter sowie die Kündigung von Verträgen bzw. die Entlassung von hauptamtlichen Mitarbeitern).
 - f. Zeichnungsberechtigung für rechtsge-

ხელშეკრულებები, ასევე საშტატო თანამშრომლების შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტა).

- f. ხელმოწერის უფლება გარიგებებთან მიმართებაში, რომელთა ღირებულება არ აღემატება 10.000 ევროს; 10.000 ევროზე მეტი ღირებულებების გარიგებებთან მიმართებაში აუცილებელია მმართველი საბჭოს თანხმობა;
 - g. კადრების დაქირავება;
 - h. საწევრო გადასახადების მოთხოვნა;
 - i. კონტროლის ღონისძიებები;
 - j. ხელშეკრულებები, რომლებიც უკავშირდება გაერთიანების საქმიანობის განხორციელებას § 6 (d), შესაბამისად. ამგვარი ხელშეკრულებების დადება დასაშვებია აღმასრულებელი დირექტორის მიერ, თუ სამი შემოთავაზებიდან მიღების შემდეგ შერჩეული იქნება ყველაზე ხელსაყრელი შემოთავაზება;
 - k. ყველა სხვა დავალება, რომელიც მითითებული არ არის წინამდებარე წესდებაში და რომლებიც გაერთიანების მიზნების განხორციელებას ემსახურება, შეთანხმებულ იქნება მმართველ საბჭოსთან აღმასრულებელი დირექტორის მიერ.
3. აღმასრულებელ დირექტორს უფლება აქვს გადაწყვეტილებების მისაღებად ნებისმიერ დროს მოიწვიოს მმართველის საბჭოს სხდომა, ისეთ საპასუხისმგებლო საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მმართველი საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება.
 4. იმ შემთხვევაში თუ აღმასრულებელი დირექტორის პოზიცია ვაკანტურია, მმართველ საბჭოს აქვს უფლება დროებით მმართველად დანიშნოს პირი მისივე წევრთა რიგებიდან.
- g. schäftliche Handlungen bis 10.000 Euro;
 - h. für rechtsgeschäftliche Handlungen über 10.000 Euro ist die Zustimmung des Vorstands einzuholen;
 - g. Einstellung von Personal;
 - h. Einforderung von Mitgliedsbeiträgen;
 - i. Kontrollmaßnahmen;
 - j. Verträge, die im Rahmen der Aufgaben der Vereinigung gem. § 6 (d) anfallen, können durch den Geschäftsführer abgeschlossen werden, sofern nach Einholung von drei Angeboten das günstigste Angebot ermittelt wurde;
 - k. Alle hier nicht genannten Aufgaben zur Erfüllung der Ziele der Vereinigung obliegen dem Geschäftsführer nach Absprache mit dem Vorstand.
3. Der Geschäftsführer kann jederzeit eine Vorstandssitzung zu Entscheidungen über Aufgaben, die in den Verantwortungsbereich des Vorstandes fallen, beantragen.
 4. Ist die Stelle des hauptamtlichen Geschäftsführers unbesetzt, kann der Vorstand für die Dauer dieser Vakanz aus dem Kreise seiner Mitglieder einen Geschäftsführer ad interim bestellen.

7. მრჩეველთა საბჭო და საპატიო თავმჯდომარე

§ 22. შემადგენლობა და მოვალეობები

1. მრჩეველთა საბჭო შედგება საპატიო წევრებისა და საპატიო თავმჯდომარისაგან.
2. მრჩეველთა საბჭო იკრიბება წელიწადში ერთხელ.
3. მრჩეველთა საბჭო მოიწვევა მმართველი საბჭოს თავმჯდომარის, ან მისი არყოფნის შემთხვევაში მმართველი საბჭოს თავმჯდომარის მიერ.
4. მრჩეველთა საბჭო ახორციელებს მხოლოდ მრჩეველის ფუნქციებს.
5. დეტალებს არეგულირებს მმართველთა საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი.

§ 23. საპატიო თავმჯდომარე

საერთო კრებას შეუძლია მმართველთა საბჭოს წინადადებით აირჩიოს საპატიო თავმჯდომარე. საპატიო თავმჯდომარედ აირჩევა ის, ვისაც განსაკუთრებული დამსახურებები აქვს გაერთიანების წინაშე, მისი მმართველთა საბჭოში მრავალწლიანი მოღვაწეობის შედეგად. საპატიო თავმჯდომარედ არჩევა ხდება სიცოცხლის ბოლომდე. საპატიო თავმჯდომარეს უფლება აქვს დაესწროს მმართველი საბჭოს (ხმის უფლების გარეშე) და მრჩეველთა საბჭოს სხდომებს.

8. ქონება და მოხსენება

§ 24. დაფინანსების წყაროები

გაერთიანება ფინანსდება შემდეგი სახსრებით:

1. საწევრო გადასახადებით;
2. მომსახურებისთვის გაწეული გადასახადებით;
3. პროცენტები და შემოსავლები ქონებიდან;
4. სხვა ფულადი დახმარებები და სუბსიდიები;
5. სხვა შემოსავალი, რომელიც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.

7. Beirat und Ehrenvorsitzender

§ 22. Zusammenfassung und Aufgaben des Beirats

1. Die Ehrenmitglieder und der Ehrenvorsitzender bilden den Beirat.
2. Der Beirat tritt einmal jährlich zusammen.
3. Der Beirat wird vom Vorstandsvorsitzenden oder, im Falle seiner Verhinderung, vom stellvertretenden Vorsitzenden einberufen und geleitet.
4. Der Beirat hat eine ausschließlich beratende Funktion.
5. Näheres regelt eine vom Vorstand zu erlassene Beiratsordnung.

§ 23 Ehrenvorsitzender

Die Mitgliederversammlung kann auf Vorschlag des Vorstandes einen Ehrenvorsitzenden wählen. Wählbar ist, wer sich als langjähriges Vorstandsmitglied hervorragende Verdienste um die Vereinigung erworben hat. Die Wahl erfolgt auf Lebenszeit. Der Ehrenvorsitzende kann beratend an den Vorstands- und Beiratssitzungen teilnehmen.

8. Vermögen und Berichterstattung

§ 24. Finanzierungsquellen

Die Vereinigung finanziert sich aus folgenden Mitteln:

1. Mitgliedsbeiträgen;
2. Gebühren für Dienstleistungen;
3. Zinsen und Erträgen aus Vermögensanlagen;
4. mögliche Zuwendungen und Zuschüsse;
5. anderes Einkommen, das laut der geltenden Gesetzgebung nicht verboten ist.

§ 25. საწევრო გადასახადები

1. საწევრო გადასახადები გაერთიანების მთავარი ფინანსური წყაროა.
2. წლიური გადასახადის ოდენობა და გადახდის სახე დამოკიდებულია საგადასახადო თადარიგზე, რომელიც მმართველი საბჭოს მიერ იქნება დადგენილი.
3. გაერთიანების წევრებს შეუძლიათ დადგენილზე მაღალი საწევრო გადასახადის გადახდა.
4. საწევრო გადასახადი გადახდილ უნდა იქნას წლის პირველ კვარტალში. თუ შესაბამის სამეურნეო წლის ბოლომდე გადახდილ არ იქნა გადახდას დაქვემდებარებული საწევრო გადასახადები, ეს წევრობიდან ავტომატურ გარიცხვას გულისხმობს.
5. საწევრო გადასახადები გამოყენებულ უნდა იქნას გაერთიანების მიზნებისა და დავალებების დაფინანსებისთვის.

§ 26. ქონების გამოყენება

1. საქმიანობის შემოსავლები გამოყენებულ უნდა იქნან ხარჯების დასაფარად და გაერთიანების მიზნებისა და დავალებების შესასრულებლად.
2. გაერთიანების შემოსავალი არ შეიძლება წევრებს შორის განაწილდეს.
3. გაერთიანება თავის დავალიანებაზე პასუხს აგებს მხოლოდ და მხოლოდ მისი ქონებით. აღმასრულებელ დირექტორზე ან მმართველი საბჭოს სხვა წევრზე გაერთიანების ვალდებულების დაკისრება გამორიცხულია.

§ 27. სამეურნეო წელიწადი

1. სამეურნეო წელიწადი არის კალენდარული წელი. სარეგისტრაციო წელი არის ერთი არასრული სამეურნეო წელი.
2. წელიწადი იწყება რეგისტრაციის დღიდან და მთავრდება იმავე კალენდარული წლის 31 დეკემბერს.

§ 28. წლიური ბიუჯეტი, ანგარიშგება

1. გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება მოქმედებს წლიური ბიუჯეტის შესაბამისად.

§ 25. Mitgliedsbeiträge

1. Mitgliedsbeiträge sind eine der Hauptquellen für die Finanzierung der Vereinigung.
2. Die Höhe und Zahlungsweise des Jahresbeitrages richtet sich nach der Gebührenordnung, die vom Vorstand festgelegt wird.
3. Die Vereinigungsmitglieder können einen höheren Mitgliedsbeitrag zahlen als festgelegt wurde.
4. Die Mitgliedsbeiträge sind im ersten Jahresquartal zur Zahlung fällig. Sofern bis zum Ende des jeweiligen Geschäftsjahres fällige Mitgliedsbeiträge noch nicht gezahlt wurden, konstituiert dies automatisch einen Kündigungsgrund.
5. Die Mitgliedsbeiträge dürfen nur für die Finanzierung der Vereinigungszwecke und Aufgaben verwendet werden.

§ 26. Nutzung des Vermögens

1. Erlöse aus der Tätigkeit sollen vor allem zur Deckung der Kosten und für Zwecke und Aufgaben der Vereinigung verwendet werden.
2. Das Einkommen der Vereinigung kann zwischen den Mitgliedern nicht verteilt werden.
3. Für die Verbindlichkeiten der Vereinigung haftet die Vereinigung ausschließlich mit ihrem Vermögen. Jede persönliche Haftung des Vorstandes und der Geschäftsführung für Verbindlichkeiten ist ausgeschlossen.

§ 27. Geschäftsjahr

1. Geschäftsjahr ist das Kalenderjahr. Das Registrierungsjahr ist ein unvollständiges Geschäftsjahr.
2. Es beginnt nach dem Tag der Registrierung und endet am 31.12. desgleichen Kalenderjahrs.

§ 28. Jahresbudget, Berichterstattung

1. Die Deutsche Wirtschaftsvereinigung wirtschaftet nach einem Jahresbudget.

2. გაერთიანება ვალდებულია ზოგადი მოქმედი განაწესის მიხედვით აწარმოოს საბუღალტრო წიგნები და შეადგინოს საანგარიშო დოკუმენტი.
3. წევრების კრების ფარგლებში არჩეული რევიზორი ჩაატარებს წელიწადში ერთხელ საფინანსო-საბუღალტრო აღრიცხვას.

9. გაერთიანების ლიკვიდაცია რეორგანიზაცია

§ 29. გაერთიანების ლიკვიდაცია

1. გაერთიანების საქმიანობა შეიძლება შეწყდეს:
 - a. რეორგანიზაციის/შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფის შემთხვევაში;
 - b. ლიკვიდაციის შემთხვევაში.
2. გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. წესდების ცვლილება

§ 30. წესდების ცვლილებები

1. მმართველი საბჭოს წინადადებით ან სრულყოფილი წევრების 1/3-ის წერილობითი განცხადებით, წესდება შეიძლება შეცვლილი იქნას საერთო კრების გადაწყვეტილებით.
2. წესდებაში ცვლილებების შეტანა მოხდება საერთო კრების მიერ.
3. წინადადება წესდების შეცვლის თაობაზე გათვალისწინებულ უნდა იქნას დღის წესრიგით.
4. გადაწყვეტილებას წესდების ცვლილებების თაობაზე მხარი უნდა დაუჭიროს დამსწრე ან სხდომაზე წარმოდგენილი ხმის უფლების მქონე წევრების 2/3-მა.

2. Die Vereinigung ist verpflichtet im Sinne der allgemein gültigen Vorschriften Bücher zu führen und Buchungsnachweise aufzustellen.
3. Der von der Mitgliederversammlung ernannte Rechnungsprüfer führt einmal im Jahr eine Kas- senprüfung durch.

9. Auflösung und Liquidation der Vereini- gung

§ 29. Auflösung der Vereinigung

1. Eine Auflösung der Vereinigung erfolgt:
 - a. Im Falle der Umwandlung/Vereinigung, Ausscheidung, Trennung, Umgestaltung/;
 - b. Im Falle der Auflösung.
2. Die Umwandlung und die Auflösung der Vereini- gung wird gem. der georgischen Gesetzgebung durchgeführt.

10. Satzungsänderungen

§ 30. Satzungsänderungen

1. Auf Vorschlag des Vorstandes oder auf schriftlichen Antrag von mindestens 1/3 der ordentlichen Mitglieder kann die Satzung durch Beschluss einer ordentlichen Mitgliederversammlung geändert werden.
2. Die Änderung in der Satzung wird seitens Mitgliederversammlung beschlossen.
3. Beschlussvorschläge für Satzungsänderungen sind in der Tagesordnung anzukündigen.
4. Ein die Satzung ändernder Beschluss bedarf einer Mehrheit von 2/3 der anwesenden bzw. vertretenen stimmberechtigten Mitglieder.

11. წესდების ძალაში შესვლა

§ 31. წესდების ძალაში შესვლა

ეს წესდება ამოქმედდება მისი საერთო კრებაზე დამტკიცების დღეს.

12. დასკვნითი დებულებები

§ 32. წესდების ნაკლოვანება

1. იმ შემთხვევაში თუ წესდების რომელიმე პუნქტი ძალას დაკარგავს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეცვლილ უნდა იქნას მთელი წესდება. ამ შემთხვევაში ძალაშია წესდების დანარჩენი პუნქტები გაერთიანების ლიკვიდაციის დებულებების გარდა.
2. წესდება იდება ქართულ და გერმანულ ენაზე.

11. Inkrafttreten der Satzung

§ 31. Inkrafttreten der Satzung

Diese Satzung tritt am Tage ihrer Bestätigung an der Mitgliederversammlung in Kraft.

12. Schlussbestimmungen

§ 32. Satzungsmängel

1. Falls ein Punkt der Satzung außer Kraft gesetzt aufgehoben wird, trotz der Grundlage der Aufhebung, bedeutet dies nicht die Aufhebung der ganzen Satzung. In diesem Fall gelten die restlichen Punkte der Satzung ohne Bestimmungen zur Aufhebung.
2. Diese Satzung wird in Georgisch und Deutsch verfasst.